



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამინისტრო  
G E O R G I A

AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

3339-05-2-202011131732

N 05/3339



13/11/2020

Factcheck-ის რეგიონულ ანალიტიკოსს  
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ თქვენი განცხადებები (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე) 2020 წლის 21 ოქტომბერს (N19312/05) გადმოგზავნილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

როგორც მოგეხსენებათ, 2019 წლის დეკემბრის თვიდან მსოფლიო იმყოფება ახალი კორონავირუსის ინფექციის COVID-19 გლობალური საფრთხის წინაშე, მარტის თვიდან კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია პანდემიად შეაფასა და მოუწოდა ქვეყნებს პანდემიასთან ბრძოლის სამზადისისკენ.

პანდემიის პირობებში უსაფრთხო დაცვის საშუალებების მოწოდება და შექმნა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისთვის. აჭარის რეგიონში არსებული დაწესებულებები, რომლებიც ამ ეტაპზე ჩართული არიან COVID-19 მართვაში/შესაძლო შემთხვევების ინდენტიფიცირებაში, ასევე საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ცხელების კლინიკებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაძლო შემთხვევების ინდენტიფიცირებას, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე სკრინინგის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებებისთვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგებისთვის, სამედიცინო მომსახურების გამწევ ფიზიკურ/იურიდიული პირებისათვის, საკარანტინე სივრცეში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის უმნიშვნელოვანესია პირადი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა.

ახალი კორონავირუსით (COVID - 19) დაინფიცირებისაგან რისკ ჯგუფების დაცვის უზრუნველყოფისა და დაავადებული მოსახლეობისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულია პროგრამა „ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვა, ფუნქციონირება, რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა“. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა და დღეის მდგომარეობით 122 სამედიცინო პერსონალზე ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი შეადგენს - 264 745 ლარს. ხოლო რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით გაწეული ხარჯის შესახებ ინფორმაცია იხ. დანართში.

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვით და ზარალის/ზიანის შემცირების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 25 მარტის N196 ბრძანებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000-ზე ნაკლები ან ტოლი სარეიტინგო ქულით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარტოხელა პენსიონერების, სარეცელს მიჯაჭული მოქალაქეების „სასურსათო კალათით“ უზრუნველყოფის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბ-

ლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყვო 367 332 (სამას სამოცდაშვიდიათას სამასოცდათორმეტი) ლარი. სამინისტრომ უზრუნველყო გამოყოფილი თანხით 7 000 (შვიდი ათასი) ერთეული „სასურსათო კალათის“ შექმნა და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 1 605 (ერთი ათას ექვსას ხუთი), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 1 334 (ერთი ათას სამას ოცდაათობმეტი), ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 652 (ექვსას ორმოცდათორმეტი), ქედის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 751 (შვიდას ორმოცდათერთმეტი), შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 775 (შვიდას სამოცდათხუთმეტი) და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიისათვის 1 604 (ერთი ათას ექვსას ოთხი) ერთეული სასურსათო კალათის გადაცემა, ხოლო 279 (ორას სამოცდაცხრამეტი) ერთეული „სასურსათო კალათის“ ე.წ ოცნების ქალაქში მცხოვრებლებისათვის გადაცემა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 25 მარტის N196 ბრძანებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობის „სასურსათო კალათით“ უზრუნველყოფის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყვოს 894 627 (რვაას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ექვსას ოცდაშვიდი) ლარი.

1. სოციალურად მოწყვლად - სასურსათო კალათის მიმღებ პირებად განისაზღვრა:
  - 2.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:
    - 2.1.1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000-ზე ნაკლები ან ტოლი სარეიტინგო ქულით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მარტოხელა პენსიონერი, სარეცელს მიჯაჭვული მოქალაქე;
    - 2.1.2 მარჩენალდაკარგული (ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე);
    - 2.1.3 მარტოხელა მშობელი (მარტოხელა დედა/მამა);
    - 2.1.4. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 000-ზე ნაკლები ან ტოლი სარეიტინგო ქულის მქონე ვეტერანი;
    - 2.1.5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანი;
    - 2.1.6 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი;
    - 2.1.7 მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
    - 2.1.8 სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 000-ზე ნაკლები ან ტოლი სარეიტინგო ქულის მქონე მრავალშვილიანი ოჯახი (3 და მეტი შვილი. 3-4 შვილი - 1 „სასურსათო კალათა“, 5 და მეტი შვილი - 2 „სასურსათო კალათა“).

2.2 ე.წ. „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები 993 ოჯახი.

აღნიშნულ მოწყვლად ჯგუფზე სასურსათო კალათის გადაცემის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, უზრუნველყო 19 260 (ცხრამეტი ათას ორას სამოცი) ერთეული „სასურსათო კალათის“ შექმნა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 5 067 (ხუთი ათას სამოცდაშვიდი), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის - 3 563 (სამი ათას ხუთას სამოცდასამი), ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის - 2 532 (ორი ათას ხუთას ოცდათორმეტი), ქედის მუნიციპალიტეტის მერიისათვის - 2 506 (ორი ათას ხუთას ექვსი), შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 2 285 (ორი ათას ორას ოთხმოცდახუთი) და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიისათვის - 2 314 (ორი ათას სამასთოთხმეტი) ერთეული სასურსათო კალათის გადაცემა, ხოლო - 993 (ცხრას ოთხმოცდაცამეტი) ერთეული სასურსათო კალათის ე.წ. „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები ოჯახებისათვის გადაცემა.

**პატივისცემით,**

ანა მელაშვილი

საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტი

